პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ივლისი ოთხშაბათი 1974 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 165 (15986)

პარტიული კრება აღზრდის სკოლაა

ამდენიმე დღის წინათ გაიმართა პარტიული კრება თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანაში, დიდი ხნით დაახლოებდათ ეს კრება. იგი არაჩვეულებრივი იყო, დიდად განსხვავდებოდა იმ კრებებისაგან, რომლებიც აქ წინათ ეწყობოდა. მისი ეფექტურობაც განსაკუთრებული იყო უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მისი დღის წესრიგი აქტუალური, საჭირბოროტო იყო.

კრებამ განიხილა იხეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილების — „საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების დარგში. ამრიგად, უკვე თვით დღის წესრიგმა ქარხნის კომუნისტებს, მაშასადამე — საწარმოს მთელ კოლექტივსაც, მთელ ორგანიზაციასაც მიაპყრობინა უურადღება ყველაზე აქტუალური, მოცემულ მომენტში მთელი რესპუბლიკური პარტორგანიზაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური და საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაზე.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ კრებას და რა მაღალ როლს აკუთვნებს მას პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

პარტიული კრება პირველადი პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა. ეს განსაზღვრულია სკკპ წესდებით, და ეს უმნიშვნელოვანესი საწესდებო ნორმა ახასიათებს პირველადი ორგანიზაციების თვით სტრუქტურას.

პარტიული კრება კომუნისტთა აღზრდის სკოლაა. იგი ხელს უწყობს კომუნისტთა პოლიტიკურ წრთობას, მათს აღზრდას პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების დაცვის სულისკვეთებით.

აღზრდის ნახელდობრ ახალი სკოლა გახდა პარტიული კრება ს. მ. კიროვის სახელობის ქარხნის კომუნისტებისათვის. იგი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა მთელი ხაქარხნო პარტორგანიზაციის ცხოვრებაში.

პარტიულმა კრებამ კიროვის ქარხანაში აქტიურად, მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა, და ეს პირდაპირი შედეგია **კრების გულდასმით მომზადებისა და სწორად ჩატარებისა.**

თავის დადგენილებაში აღოსლავლის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიული კრებების ჩატარების პრაქტიკის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს მთელი პარტიული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების განმტკიცებისათვის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის.

ს. მ. კიროვის სახელობის ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში წარმატებით იქნა გამოყენებული პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების ყველაზე გავრცელებული, პრაქტიკით შემოწმებული ფორმები და მეთოდები. უზრუნველყოფილია სრული გამოცხადება კრებაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ ეს ზრდის დისციპლინირებას, გამოუმუშავებს კომუნისტებს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის მოთხოვნილებას, პარტიული მუშაობის სრულყოფილ ფორმა დაინტერესებას. პარტიული კრების მომზადებაში ფართოდ იყენებ ჩაბმული რიგითი კომუნისტები — მუშები, სპეციალისტები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ღრმა დემოკრატიულ საწყისებზე, ფართო აქტივის მონაწილეობით მზადდებოდა კრების დადგენილების პროექტი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო არა მარტო საუკეთესო ორგანიზაციულ მომზადებას კრებისათვის, არამედ კომუნისტთა აქტივობაც გაალიერა თვით პარტიულ კრებაზე.

ამიტომ იყო, რომ მოხსენებამ კრებაზე, კრების თვით მუშაობამ, მასზე შექმნილმა ატმოსფერომ, ამხანაგების გამოსვლებმა მოხსენების განხილვისას, რომლებშიც გამოხატული იყო პარტიის წევრთა კოლექტიური აზრი, იმიტომ რომ ამ გამოსვლათა ძირითადი დებულებანი წინასწარ განხილული იყო საამქრო პარტორგანიზაციებში და პარტიულ ჯგუფებში, ბოლოს მასალებისა და ფაქტების ღრმა ანალიზმა, რომელიც მოცემული იყო კრებაზე, — ყოველივე ამან გამოიწვია არა მარტო იმათი მოთხოვნილება გამოსულიყვნენ კრებაზე, გამოეთქვათ თავიანთი შეხედულება განსახილველ საკითხზე, ურთიერთისათვის გაეზიარებინათ აზრები, ვინც წინასწარვე ემზადებოდა კამათისათვის, არამედ იმათაც, ვინც გადაწყვიტა აეღო სიტყვა თვით კრების მსვლელობაში.

კრებაზე მიღებულ იქნა საქმიანი დადგენილება, სადაც დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, პირველადი პარტიული ორგანიზაციის განმტკიცება, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფა. სამეურნეო და პოლიტიკური საქმიანობის განუყრელი ერთიანობა, კომუნისტთა ავანგარდული როლის გაძლიერება, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულება.

კიროვის სახელობის ქარხანაში პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების მაღალი დონე, ამ კრების გაზრდილი როლი და მნიშვნელობა უზრუნველყოფილი იყო პარტიული ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით. კრებისათვის მზადებაში მეცნიერთა — ეკონომისტთა მგეგმავთა, ფინანსისტთა, სოციოლოგთა, ინჟინერ-მანქანათმშენებელთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების მუშაკთა მონაწილეობის მეობებით. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა აღნიშნულ საწარმოში ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შესწავლა. და საქმის ამ მხარესაც, პარტიული ორგანოების უნარიან ხელმძღვანელობასა და აქტიურ დახმარებას პარტიული კრებების როლის, მათი მომზადების დონის ამაღლებასა და ჩატარებაში უურადღება აქვს მიქცეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში იაროსლავლის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებების ჩატარების პრაქტიკის შესახებ.

ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანაში პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების გამოცდილება იმის ღირსია, რომ მას მხარი დაუჭიროს და გაავრცელოს სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, სხვა პარტკომებმა, პარტიის სხვა რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა.

პარტიული კრებები გადამწყვეტ ზემოქმედებას უნდა ახდენდნენ შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებაზე, მუშაობაში კოლექტიურობის ლენინური პრინციპის განმტკიცებაზე.

ყველა ამ დასკვნითა და დებულებით უნდა აღიგურვონ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში, მუდამ ახსოვდეთ, რომ პარტიული კრება დიდ როლს უნდა ასრულებდეს კომუნისტთა აღზრდაში თავიანთ პარტიულ ორგანიზაციაში საქმის ვითარებისათვის, მთლიანად პარტიის ბრძოლისუნარიანობის ყველა ღონისძიებით განმტკიცებისა და ამაღლებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

პარტიული კრების როლი და მნიშვნელობა გაზრდილია ეროვნულ-საგანმანათლებელ, ეროვნულ-კულტურულ, ეროვნულ-ეკონომიურ ურთიერთობათა ფართო სფეროში. ეროვნული ურთიერთობანი ეროვნული ინტერნაციონალიზმის, ინტერნაციონალური ინტერესებისა, ინტერნაციონალური ინტერესებისა, ინტერნაციონალური ინტერესებისა

პარტიული ცხოვრება

ინდუსტრიული ორგანიზაციები

სამრეწველო წარმოების ეფექტიანობას — მაღალი დონე!

როგორ, რა უმთავრესი მიმართულებით უნდა განვითარდეს მრეწველობა ქალაქებში ჟუთაისში, რუსთავში, ჭიათურაში და ტყიბულში? რა არსებითი ნაკლოვანებებია მრეწველობისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში და როგორ უნდა გაუმჯობესდეს იგი? — ეს მთავარი კითხვები, რომლებზეც ნათელი პასუხი გასცეს ამ ცოტა ხნის წინათ აქ გამართულმა საქალაქო პარტიული კომიტეტების პლენუმებმა.

მოხსენებები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის შედეგებისა და საქალაქო პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ გააკეთეს პარტიის საქალაქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა ხ. ხაბეიშვილმა, ვ. კობაძიძემ, ნ. ვაშაძემ და ჯ. გოგიჩაიძემ. მოხსენებათა გამო გამართულ კამათში ბევრი კომუნისტი გამოვიდა. პლენუმების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებმა.

რა მოსპარ ამოცანებზე, რა მთავარ პრობლემებზე ლაპარაკობდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტების პლენუმების მონაწილენი?

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მრეწველობის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავს სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას მოქმედ სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენებისა და ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვის ბაზაზე. ამახთან გათვალისწინებულია რაც შეიძლება მეტი პროდუქციის მიღება მოქმედ საწარმოებში, შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარება, რათა უთუოდ შესრულდეს 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის დავალებანი და შეიქმნას მომდევნო პერიოდში რესპუბლიკის საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარების მტკიცე ბაზა. დადგენილებაში განსაზღვრულია აგრეთვე საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობის გზები, საქართველოს ეკონომიკის შემდგომი წინსვლისა და სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებანი.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა. როგორც პლენუმების მონაწილენი აღნიშნავდნენ, ეს აუცილებლობა გამოწვეულია იმ დისპროპორციით, რომელიც საქართველოს მრეწველობაში შეიქმნა ამ ბოლო დროს. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში მეტად დიდია კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ხვედრითი წონა, ხოლო რაც შეეხება მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებას, ელექტროენერგეტიკას, ქიმიურ მრეწველობას, საშენ მასალათა მრეწველობას და სხვა დარგებს, ისინი ნელა ვითარდებიან.

სწორედ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე ვრცელად და ღრმად ილაპარაკეს პლენუმებზე როგორც მოხსენებლებმა, ისე კამათის მონაწილეთა უმრავლესობამ.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე კმაყოფილებით ითქვა, რომ უახლოეს ხანში მნიშვნელოვნად შეიცვლება საგატმობილო ქარხნის სახე. ორჯერ და მეტად გაიზრდება აქ წარმოების მოცულობა.

დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული ქუთაისის ლითოფონის ქარხნის რეკონსტრუქციისათვის, რის შედეგად აქ პროდუქციის წარმოება 2,5-3-ჯერ და მეტად გაიზრდება.

უკანასკნელ ხანს დიდი ცვლილებები მოხდა რუსთავში — ჩვენი მეტალურგიის ცენტრში. მხოლოდ სამი უნიშვნელოვანესი ობიექტის — მეტალურგიული ქარხნის, ქიმიური კომბინატისა და ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პროდუქცია შეადგენს ქალაქ რუსთავის მთელი სამრეწველო პროდუქციის 80 პროცენტს. როგორც პლენუმზე მომხსენებელი — პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობასიძე, იხე კამათის მონაწილეებმა, — რომ ბოლო წლებში აშკარად შეიმჩნევა ქვანახშირის მოპოვებისა და რეალიზაციის მოცულობის ტემპის შემცირება. ამ შეუწყნარებელი მდგომარეობის შექმნას კი ხელი შეუწყო საწარმოო სიმძლავრეთა „ოპუნაბიჯით“ შენგრევამ.

იმის გამო, რომ დროულად არ ავლიან მოძველებულ მოწყობილობას, მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის ქიმიურ მრეწველობაში ამიაკის წარმოების ბაზით სიმძლავრეების ჯამოყენების პროგენტი აღიცერებით დაბალია, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში, მარტო ამ მიზეზით ყოველ წელს რუსთავის ქიმიური კომბინატი სახელმწიფოს აკლებს მილიონობით მანეთის პროდუქციას.

პარტიის ქიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ მათი ქალაქის მრეწველობის მასშტაბები ჩამორჩება რესპუბლიკურ მაჩვენებლებს. შარშან ქიათურის მრეწველობაში ერთ მომუშავეზე მოდიოდა 7.100 მანეთის პროდუქცია, როცა ამ მხრივ რესპუბლიკაში მაჩვენებელი თორმეტი ათას მანეთს აღემატებოდა.

არათუ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი გაზრდილ ვალდებულებებს, გეგმებსაც ვერ ასრულებენ ცალკეული საწარმოო უბნები, ცვლები, ბრიგადები, მუშები, ყველგან არ უდგებიან საქმეს სათანადო ყაირათით, გონივრულად ვერ იყენებენ რეზერვებს, არ ზრუნავენ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, მარტო წელს ჭიათურის სამრეწველო საწარმოებში გადასარჯულია სამ მილიონამდე კილოვატ-საათი ელექტროენერგია, დიდძალი სამაგრი მასალა. უყაირათობის, მფლანგველობის ფაქტებს ადგილი აქვს ქუთაისშიც, რუსთავშიც, ტყიბულშიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმზე მეტად მწვავედ დაისვა დანაკარგების შემცირების, ნედლეულისა და მასალების დაზოგვის საკითხი. ამ მიზეზით უფრო შეუწყნარებელია, რომ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მოქმედებდა და ყაირათიანობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ცნობილ წერილს ადგილებზე თანდათან ივიწყებენ.

ამ და სხვა მრავალ ნაკლოვანებათა უსწრაფესი გამოსწორება, რომელთა შესახებ მოურიდებლად და გულწრფელად ლაპარაკობდნენ პლენუმებზე სიტყვებით გამოსული კომუნისტები, მთავარზე მთავარი რეზერვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე.

საქალაქო კომიტეტების პლენუმების ერთიანი მთავარი მოთხოვნა თვითეული კომუნისტისადმი, ყოველი პარტიული ორგანიზაციისადმი ის არის, რომ პარტიისა და მთავრობის ისტორიულ დადგენილებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებებს შეაგებონ ჭეშმარიტი შემოქმედებითი შრომა, ახალ, მაღალ დონეზე მოწყობილი ორგანიზაციორული და პოლიტიკური საქმიანობა.

საჭიროა ყველგან ფართოდ განზოგადდეს და გავრცელდეს როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების, ისე საქართველოს ცალკეული შრომითი კოლექტივების დადებითი გამოცდილება, რომელიც გულისხმობს, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, ნაწარმის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას და სხვ. ამ მხრივ საინტერესოა ქუთაისის მეფეხსაჭილეთა, მკერავთა და სხვა კოლექტივების გამოცდილება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

პლენუმებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კადრების დენადობის აღკვეთას, საწარმოო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებას, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებასა და დანერგვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ვიყენებთ ჩვენი სამეცნიერო კადრების დიდ შესაძლებლობებს. პარტიულმა კომიტეტებმა მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ, რომ შეფერხებულად დაინერგოს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ყოველივე მოწინავე, პროგრესული.

ერთსულოვნად მიღებულ გადაწყვეტილებებში პლენუმების მონაწილენი დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ბოლო მოელს ფორმალიზმს, დასავსებულობას, რუტინას, მომვგებულობახა და უპასუხისმგებლობას. კიდევ უფრო ეფექტიანად გარა ო ღ ე ს ბრძოლა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უპასუხისელი პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.



მეაბრეშუმეთა ღირსების საქმე

„ავაღორძინოთ ქართული მეაბრეშუმეობის დიდება“ — ასეთი ამოცანა დაუსახეს პარტიულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის სპეციალისტებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

ოდესვაზე რაიონის მეაბრეშუმეებმა 14 ივლისისათვის ბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 800 ცენტნერის ნაცვლად ხელმწიფოს მიეყიდა 807 ცენტნერი ბრეშუმის პარკი. კიდევ დაამზადეს რამდენიმე ცენტნერ ბრეშუმის პარკს. ეს რედაქციას აცნობეს პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჯაბადარმა და რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ანნეპარაშვილმა.

ტყიბულის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 10 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 126 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 125 ცენტნერისა. გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს „ბურსების, ორპირის, ხაფირის, ცუცხვათის, ბუეთის, ჯვარისის, ბურნის, კისორეთისა და ძმუისის კოლმეურნეობების მეაბრეშუმეებმა. ეს რედაქციას აცნობა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მირ[illegible]

ნელს ლაგოდეხელმა მეაბრეშუმეებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. კარგად მოუარეს აბრეშუმის ჭიას და უხვი მოსავალიც მიიღეს. რაიონში გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. ამ საქმეში ასობით მეაბრეშუმემ თავი ახახელა. მათ შორის არის სოფელ აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეაბრეშუმე ირინე მჭედლიძე, რომელმაც გეგმის გადაჭარბებით 50 კილოგრამი პარკი ჩაბარა მიმღებ პუნქტს. სურათზე: ნოწინავე მეაბრეშუმე ირინე მჭედლიძე.

ვ. მორაშნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინდუსტრიული ორგანიზაციები

ინტენსიურ პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს კომუნისტური საზოგადოების გამოცალი მშენებლობა, მნიშვნელოვნად იზრდება კაპიტალური მშენებლობის როლი.

დიდი კაპიტალური მშენებლობა განსორციელდა და ხორციელდება საქართველოში, ამის დადასტურებაა ის, რომ კაპიტალურ დაბანდებათა ჯამი წარის მიხედვით 1921—1972 წლებში საქართველოში დაბანდებული იყო 16.616 მილიონი მანეთი და 1946—1972 წლებში ამოქმედდა 11.404 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები. 1921-1972 წლებში მოსახლეობამ მიიღო 44.795 ათასი კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობი. რესპუბლიკაში მეცხრე ხუთწლედის სამ წლიწადში ყველა წყაროს მიხედვით კაპიტალურმა დაბანდებამ 3.049.485 ათასი მანეთი შეადგინა.

კაპიტალურ დაბანდებათა პრესპექტიულ დაგეგმვაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს წელს მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებების შესახებ“. ეს დადგენილება რესპუბლიკის ეხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელშიც მოცემულია საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის დაჩქარებული განვითარების გეგმა. ამ მეტად პასუხსაგები საქმის შესრულებაში დიდი როლი ენიჭება მშენებელთა მოჭნილ მუშაობას, დროულად უზრუნველყოფას ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსებით.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებისას ჯერ კიდევ ხშირად ირღვევა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც მოცემულია ზემდგომი ორგანოების დადგენილებაში „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და საშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“. მასში მითითებულია, რომ მშენებლობის დაგეგმვის და მისი განხორციელების დროს ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ეკონომიურთვალსაზრისი კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და საშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეებთან. ხდება მრავალ თბილეზი სახსრების დაქაჩვა, რის შედეგად ერთდროულად შენდება უფრო მეტი ობიექტები, ვიდრე ამისათვის საჭირო რესურსები გააგვიანა. ამ მიზეზებით აიხსნება ის გარემობა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში არ სრულდება საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. მაგალითად, 1971 წელს გეგმა 80,4 პროცენტით შესრულდა, 1973 წელს კი—81,9 პროცენტით. მშენებლებმა რესპუბლიკის 1973 წელს 208 მილიონი ძირითადი ფონდები დააკელეს, რის შედეგად აღნიშნულ წლებში გაიზარდა პირველადი სამშენებლო—სამონტაჟო ორგანიზაციების რიცხვი. 1965 წლის 189 სამშენებლო ორგანიზაციიდან 1972 წელს ეს რიცხვი 377-მდე გაიზარდა. რასაკვირველია, თვითეული ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამშენებლო—სამონტაჟო სამუშაოების მოცულობაც შესაბამისად შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1973—1974 წლებში რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უფრო ნაკლები რაოდენობით არის გათვალისწინებული ვიდრე 1971 წელს, გამოვა, რომ ჩვენს სამშენებლო ორგანიზაციებს დღეგანდლებზე უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ.

ყოველად შეუწყნარებელია სამშენებლო ორგანიზაციათა დაფვრილრთოვნება. უნდა მოხდეს პირიქით — სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილება, რაც იწვევს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას და ამცირებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულებას. სსრ კავშირის სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტის მშენებლობის ეკონომიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მონაცემებით ამ სამშენებლო-სამონტაჟო სამეკართველოებში, რომლებიც წელიწადში 1 მილიონ მანეთისაზე ნაკლები ღირებულების სამუშაოებს ასრულებენ, ერთ მუშაზე ეკონომია 23 პროცენტით ნაკლებია, ხოლო ადმინისტრაციულ სამეურნეო ხარჯები 26 პროცენტით მეტი, ვიდრე იმ ორგანიზაციებისა, სადაც სამუშაოთა მოცულობა წელიწადში 2 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების სამუშაოთა შესრულებას ითვალისწინებს. ამრიგად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადავიდეთ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა გამსხვილებაზე. საჭიროა უახლოეს პერიოდში ერთი სამშენებლო ორგანიზაციის დატვირთვა წელიწადში განისაზღვროს სულ მცირე 3,5 მილიონი მანეთის სამუშაოთა შესრულებით. რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისუფლად შეუძლიათ ნაცვლად 591.390 ათასი მანეთის სამუშაოებისა (რაც წელს აქვთ დაგეგმილი) შეასრულონ 750.000 ათასი მანეთის სამუშაოები. ეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პერსპექტიული გეგმით არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება ობიექტების სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის საკითხს, ჩვენი აზრით, ეს ამ ვითარებაში მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან. როგორც აღვნიშნეთ, თუ 1973 წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა ნაკლები იყო, ვიდრე 1970 წელს და თუ ამას დავუმატებთ, რომ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და თვით სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები 1973 წელს უფრო მეტ ნაკეთობებსა და სამენ მასალებს უშვებენ, ვიდრე 1970 წელს, ეს საკითხიც ამ ეტაპზე გადაწყვეტილად უნდა მივიჩნიოთ. და, ბოლოს, რჩება ერთი საკითხი, ეს არის დამატებით ფინანსური რესურსების გამოძებნის საკითხი. მისი გადაწყვეტის შეუცვლელ წყაროდ ამ შემთხვევაში ჩვენ ბანკის გრძელვადიანი კრედიტი გვევლინება.

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების წყაროებს ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს ბიუჯეტის ასიგნობანი საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრები და ბანკის გრძელვადიანი კრედიტი. ამკამად ეკონომისტები დავობენ იმის შესახებ, თუ რომელ წყაროს მიეცეს უპირატესობა. ჩვენი აზრით, დაფინანსების ყველა წყაროო შენარჩუნებულ უნდა იქნას, ოღონდ უნდა შეიცვალოს საერთო დაფინანსებაში მათი სტრუქტურა. სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცების ინტერესები მოითხოვს, რომ, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაში მნიშვნელოვნად გაიზარდოს კრედიტის როლი. განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა საბანკო კრედიტის გამოყენებას წარმოების ძირითად ფონდებში.

საწარმოების ძირითადი ფონდების განახლების, გაფართოებისა და სრულყოფისათვის საჭიროებენ ფულად საშუალებებს, რომლებიც შეიძლება გადაკვეულ პერიოდში მათ არ გააჩნდეთ. ასეთ ვითარებაში საჭიროა გამოინახოს დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებანი, რომლებიც აღნიშნულ საჭიროებას დაკმაყოფილებენ.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებაში სწორედ ამ მიმართებით იქნა გამახვილებული ყურადღება, სადაც კონკრეტულად არის მითითებული, რომ მრეწველობის ის საწარმოები, რომლებიც ახლებურად მუშაობენ, მშენებლობას ახორციელებენ საკუთარი სახსრები, და თუ საკუთარი სახსრები არ ჰყოფნით, განსესხავება შეიძლება ბანკის გრძელვადიანი კრედიტი. დანარჩენ შემთხვევებში კი, როდესაც მშენებლობის გამოსყიდვის ვადა ხუთ წელიწადს აღემატება, მშენებლობა ხორციელდება ბიუჯეტური რესურსებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სსრკ მინისტრთა საბჭოს თანხმობით.

როგორც ვხედავთ, ეკონომიურმა რეფორმამ კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით დააყენა ძირითადი ფონდების გაფართოების საქმეში კრედიტის გამოყენების საჭიროების საკითხი. შეიძლება ზოგიერთს დაებადოს კითხვა, მაინც რაში მდგომარეობს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაში გარკვეულ ვითარებაში დაკრედიტების უპირატესობა ბიუჯეტურ დაფინანსებასთან შედარებით? პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ საწარმოს გადაუდებელი შემთხვევაში, როდესაც მას არ ყოფნის სახსრები, კრედიტი შეიცვლილ წყაროდ გვევლინება. მეორე — კრედიტის გამოყენების შედეგად იზრდება საწარმოში შრომის ნაყოფიერება და მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. საწარმომ იცის, რომ კრედიტი უკან უნდა დაბრუნდეს. ე. ი. უნდა დაიფაროს. მს ვითარება აიძულებს სამეურნეო ორგანიზაციებს რაციონალურად გამოიყენონ დაკრედიტების წყარო, დროულად დაამთავრონ სამშენებლო სამუშაოები და შემოკლეს ვადები აითვისონ საპროექტო სიმძლავრეები.

ამავამად კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაში კრედიტის გამოყენების ხვედრითი წონა 7 პროცენტამდეა. სსრ კავშირის მშენებლობის ბანკის გაანგარიშებით კრედიტის ხვედრითი წონა ნაცვლად 7 პროცენტისა შეიძლება გაიზარდოს 16 პროცენტამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოთავისუფლდება დიდძალი ბიუჯეტური სახსრები და მათ წარმართავთ საჭიროებისამებრ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ კრედიტის გამოყენება არ უნდა ეწესახურებოდეს მარტო რენტაბელურ და მომგებიან საწარმოთა გაფართოებას და რეკონსტრუქციას სსრ კავშირის მშენებლობის ბანკის მონაცემებით დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ხშირად არარენტაბელური საწარმოები და ორგანიზაციები, რეკონსტრუქციითა და გაფართოების შემდეგ მომგებიანი და რენტაბელური გამხდარან.

ამ მხრივ ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაში. სსრ კავშირის მშენებლის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მონაცემებით კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებაში თითქმის ერთ და იმავე დონეზეა. 1971 წელს იგი შეადგენდა 2.2 პროცენტს, 1973 წელს კი 2,3 პროცენტი შეადგინა, კიდევ უფრო ეუდი ხურათია. ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებებში კრედიტადაანი კრედიტის გამოყენების საქმეში. ეს კი გამოწვეულია სამინისტროებისა და უწყებების მიერ ყოველად დაუსაბუთებელი უარყოფითი დამოკიდებულებით კრედიტის მიმართ. ისინი ამ წყაროს ამჯობინებენ დაუბრუნებელ დაფინანსებას, რაც არასწორად მიგვაჩნია, რადგან მათ მთელი რიგი წლების მანძილზე არ ეძლევათ იმდენი მოცულობით ბიუჯეტური სახსრები, რომ მათ მიერ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებით დაწყებული გარდამავალი მშენებლობებიც და ახალიც უზრუნველყონ საჭირო სახსრებით, მაშინ როცა იგი თამამად შეიძლება შეიცვალოს ბანკის გრძელვადიანი კრედიტით. 1965-1968 წლებში რესპუბლიკაში დაწყებული 23 ობიექტიდან, რომლებიც ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებებში გრძელვადიანი კრედიტის გამოყენებით შენდებოდა, მშენებლობის ნორმების გათვალისწინებით 2-3 წელიწადში უნდა დამთავრებულიყო. სამინისტროებმა და უწყებებმა ისინი არ უზრუნველყვნეს სათანადო კრედიტით, ციდევობენენ რა უს წყარო შეეცვალათ მოლიანად ბიუჯეტური რესურსებით. მაგრამ გამოვიდა, რომ ბიუჯეტური რესურსები საჭირო რაოდენობით ვერ მიიღეს და უკრედიტოდაც დარჩნენ. ასე რომ, თითქმის 8-9 წლის წინათ დაწყებული 23 ობიექტიდან უმრავლესობის მშენებლობა ვერ დაამთავრეს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ბგრეთვე ის გარემოება, რომ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებაში კრედიტის გამოყენებით არც ერთი მშენებლობა არ დაწყებულა, რაც, ჩვენი აზრით, ყოვლად გაუმართლებელია. მშენებლობის სამინისტრო ამის მიზეზად სახსრების გამოყოფის უკმარისობას ასახელებს. სინამდვილეში ეს საკითხი ასე გამოიყურება. მშენებლობის სამინისტრო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებებში კრედიტის გამოყენებით მშენებლობას აწარმოებს 5 ობიექტზე, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 15.569 ათას მანეთს შეადგენს. აღნიშნული ობიექტების უმრავლესობის მშენებლობა დაწყებულია 1967-1968 წლებში და ამჟამად არც ერთი არ არის დამთავრებული.

მაგალითად, „მთავართბილმშენის“ სახლსამშენებელო კომბინატის გაფართოება და რეკონსტრუქცია თბილისში 1967 წელს დაიწყო და მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების გათვალისწინებით 1970 წელს უნდა დამთავრებულიყო. მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 4.982 ათას მანეთს შეადგენს. 1971 წლის 1 იანვრისათვის დარჩენილი აუთვისებელი ღირებულება 2.660 ათას მანეთს შეადგენდა. აღნიშნულ წელს ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებით გამოყოფილ 260 ათასი მანეთი, გრძელვადიანი კრედიტი საერთოდ არ გაითვალისწინეს.

ასეთივე მდგომარეობაა მსუბუქი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებში, რომ არაფერი ვთქვათ დანარჩენ სამინისტროებსა და უწყებებზე, სადაც აღნიშნულ კრედიტზე საერთოდ არ იყენებენ და მშენებლობაში არსებულ სინქილებს სახსრების უკმარისობას ასახელებენ. ღა ეს მაშინ, როცა ფრიალი ფინანსური სინქილები შეიძლებოდა ბანკის გრძელვადიანი კრედიტით გამოსწორებულიყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გრძელვადიანი კრედიტის გამოყენების სფეროს გაფართოება შესაძლებლობას მოგვცემს რესპუბლიკაში ყოველწლიურად გავზარდოთ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 40-50 მილიონ მანეთამდე რაც ხელს შეუწყობს მეტი ობიექტების აშენებას და დაყენებული ობიექტების დროულად დამთავრებას.

ა. ერგემლიძე,
სსრ კავშირის მშენებლობის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე.

ᲛᲔᲙᲕᲘᲓᲠᲐᲓ, ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ, ᲘᲐᲤᲐᲓ!

კრედიტის როლი მშენებლობის დაჩქარებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ითქვა:

ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე დგას, ეშემარიტად უდიდესია, და მათი განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ სრულდება ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის პროგრამა, ამიტომაც, რომ მშენებლობის დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია სამუშაოთა მოცულობის მნიშვნელოვანი გადიდება. ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველოსათვის მეათე ხუთწლედი მშენებლობის ხუთწლედი იქნება.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისათვის სამართალ-მცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი. ამ დღეებში უნივერსიტეტის მორიგ მეცადინეობაზე მსმენელთა წინაშე ლექციებით თემებზე — „სახელმწიფო ქონების დაცვა ხელყოფისაგან“ და „ცვლილებები სამოქალაქო კანონმდებლობაში“ — გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები დ. მახარაძე და ბ. დეკდარიანი.

თემატური საღამო

ᲠᲐᲘᲝᲜᲘ. პარტიული და სამეურნეო აქტივისათვის საქართველოს კპ ონის რაიკომის სხდომათა დარბაზში ვალმართა თემატური საღამო სამართლებრივ საკითხებზე. ლექცია „სახოგადოებრიობის როლი სახელმწიფო ქონების დატაცებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში“ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ო. გელენსაძემ. „სიახლენი შრომის კანონმდებლობაში“ — ამ თემაზე ლექციით გამოვიდა უმაღლესი სასამართლოს წევრი ა. ქუმსიაშვილი. „საზოგადოებრიობის როლი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში“ — ასეთი იყო თემა ლექციისა, რომელიც წაიკითხა უმაღლესი სასამართლოს წევრმა ლ. საყვარელიძემ. დასასრულ ადვოკატებმა მრავალ შეკითხვაზე გასცეს პასუხი.

ნ. ᲓᲣᲨᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ამ დღეებში სახალხო სასამართლოს სხდომათა დარბაზში სახალხო მსაჯულთა დასახმარებლად ჩატარდა თათბირ-სემინარი.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ო. გელენსაძემ. მოახსენება თემაზე — „სახალხო სასამართლოს მსაჯულების უფლება-მოვალეობანი“ — გააკეთა უმაღლესი სასამართლოს წევრმა ა. ქუმსიაშვილმა.

იურისტებმა პასუხი გასცეს შემოსულ შეკითხვებზე.

დამაფიქრებელი ციფრები

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲬᲐᲮᲕᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲬᲐᲮᲕᲔᲕᲐᲠᲘ წლის მუშაობის ამსახველი ციფრები და ფაქტები, რომლებშიც შეჯამებულია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების საქონელბრუნვის გეგმების შესრულების შედეგები, მოწმობენ, რომ ბევრმა ორგანიზაციამ ცუდად იმუშავა განვლილ კვარიოდში და სამარცხვინოდ ჩამორჩება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებს.

როგორც ექსპერტი თვის მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რესპუბლიკის წამყვანი სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში შედიან. დუნედ, ოუკეფლად, მოუნდომებლად აკეთებიან საგეგმო დავალებათა განადგურებას.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ჩამორჩნენ და გეგმებს ვერ ასრულებენ ეს ორგანიზაციები. რომელთა მაჩვენებლებს ადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ხუთწლედში რესპუბლიკის სახალ

მსოფლიო დღე

16 ივლისი

ამბები • ფაქტები • კომენტარები

□ ლონდონი

ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება

ლისაბონი □

ვ. გონსალვიში პორტუგალიის ახალი პრემიერ-მინისტრია

საკდესი და უცხოეთის პრესის საგანგებო მფლობელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის ქვეყნებში

გულგარეთი ფარმაცევტული მრეწველობის ზრდა

სოფია. 29 პროცენტით გაიზრდება ბულგარეთის ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქციის გამოშვება მიმდინარე წელს 1973 წელთან შედარებით. ახეთ ზრდას მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ქალაქ რაზგრადის ანტიბიოტიკების ქარხნის მეოთხე რიგის მწყობრში ნადგომა. მშენებლობის დამთავრების შემდეგ საწარმო ერთნახევარჯერ გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას და უდიდესი გახდება სახელმწიფო სამეურნეო გაერთიანების „ფარმახემის“ სისტემაში.

სოციალისტური ქვეყნების ზონთეესავე ინსტიტუტებთან მჭიდრო კავშირი აქვს ტექნიკური განვითარების ცენტრს, რომელიც ქარხანასთანაა შექმნილი. საბჭოთა სამეცნიერო ინსტიტუტებთან ერთად ბულგარელი ფარმაცევტები ამუშავებენ მთელ რიგ თემებს. საწარმოს სპეციალისტები თანამშრომლობენ ბუდაპეშტის ფარმაცევტული ინსტიტუტის კოლექტივთან. მათი ერთობლივი შრომის ნაყოფია ათობით ახალი სამკურნალწამლო პრეპარატის შემუშავება. რაზგრადის ქარხნის პროდუქცია ცნობილია ბულგარეთის ფარგლებს გარეთ. იგი საექსპორტოდ იგზავნება მსოფლიოს 60 ქვეყანაში.



□

სოფიაში დამთავრდა საერთაშორისო შეხვედრების სახლის მშენებლობა. ეს ყვავილაზე მაღლივი შენობაა ბულგარეთის დედაქალაქში. მის სართულებზე განლაგებულია სასტუმრო ოთახები, კონგრესების დარბაზი, რესტორნები, კაფეები, ბარები.

ბტა-საკდესის ფოტო.

იუგოსლავია

რიეკის მენავსადგურეთა წარმატებანი

ბელგრადი. ადრიატიკის ზღვაში იუგოსლავიის უდიდესი რიეკის ნავსადგურის მუშაკებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მიმდინარე წლის პირველ ხუთ თვეში ნავსადგურმა ტვირთბრუნვა 40 პროცენტით გაიზარდა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით. დამყარებულია სხვა რეკორდიც. მაისში რიეკის ისტორიაში პირველად ერთ თვეში დამუშავეს 700 ათას ტონაზე მეტი საქონელი.

რიეკა იუგოსლავიის საზღვაო ჭიშკარია. აქ ნახავთ ბევრი ქვეყნის ალმებიან გემებს. ღრმა ბუნებრივი ყურე საშუალებას იძლევა ერთდროულად მიიღოს 30-მდე დიდტონაჟიანი გემი. ქვეყნის ეკონომიკისათვის რიეკის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ მასზე მოდის იუგოსლავიის ნავსადგურების მთელი ტვირთბრუნვის დასწორებით ნახევარი.

საბჭოთა მეზღვაურები რიეკის ხშირი სტუმრები არიან. ნავსადგომებთან ყოველთვის დაინახავთ წითელალმიან ორ-სამ საბჭოთა გემს. მათ აქ მოაქვთ ლითონი, მერქანი, ბამბა, აგრეთვე სატრანზიტო ტვირთი, რომელსაც რიეკიდან რკინიგზით დანიშნულების ადგილას აგზავნიან. დიდი საწარმოო ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირთან ვიქტორ ლენაცის სახელობის გემმთსაშენის შემკეთებელთა კოლექტივს. ამ გემთსაშენის ერთ-ერთი დოკი აშენებულია ლენინგრადის საადმირალოს ქარხანაში. მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებს რიეკას დამბილებულ ქალაქ იალტასთან. (საკდესი).

მაღალი ჯილდო

ხალხთა მეგობრობის ორდენი გმირი ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენელს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის აქტიური მუშაობის გამო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნ. ვ. ფოდგორნიმ ორდენი ლენინი მიანიჭა.

15 ივლისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ვო თხუკ დონგს დასაჯა საბჭოთა სახელმწიფოს მაღალი ჯილდო.

ნ. ვ. პოდგორნი მიესალმა ელჩს და თქვა: საბჭოთა კავშირში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად თქვენი მუშაობის პერიოდში ჩვენმა პარტიებმა და მთავრობებმა არსებითი ნაბიჯი გადადგეს წინ საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების გზაზე. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა 1973 წლის ივლისში ამხანაგ ლე ზუანისა და ფამ ვან დონგის მეთაურობით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტმა სსრ კავშირში.

ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის განმტკიცებისათვის კონკრეტულ დონისძიებათა განხორციელებაში არის თქვენი შრომის დიდი წვლილიც, პატივცემულო ვო თხუკ დონგ.

ჩვენს ქვეყანაში თქვენი ყოფნის წლები იყო აგრეთვე თავდასუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ვიეტნამელი ხალხის ისტორიულ გმირობათა ხანა.

პარიზის შეთანხმებამ ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ, თქვა შემდეგ ნ. ვ. პოდგორნიმ, ბოლო მოიღო პირდაპირი შეიარაღებული ჩარევის ხანგრძლივ პერიოდს და დასახა მთლიანად ვიეტნამის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების გზა. ახლა ამოცანა ის არის, რომ მიეღწიოთ ამ შეთანხმების სრულ განხორციელებას, რომლის მთელი რიგი არსებითი პუნქტები, ჩვენი საერთო აზრით, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება.

ნ. ვ. პოდგორნიმ აღნიშნა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის დაჯილდოება ხალხთა მეგობრობის ორდენით, რაც მოწმობს მისი, როგორც დიპლომატიური მუშაკისა და როგორც კომუნისტის, პირადი დამსახურების აღიარებას, ამავე დროს გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების ძმური მეგობრობისა და ღრმა პატივისცემის უცვლელი გრძნობების კიდევ ერთი გამოხატულებაა.

დასასრულ ნ. ვ. პოდგორნიმ ამხანაგ ვო თხუკ დონგს მიუსალმა მაღალი ჯილდო, უსურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება და დიდი წარმატებანი ახალ მუშაობაში.

ნ. ვ. პოდგორნიმ ვო თხუკ დონგს სთხოვა ძმური სალამი გადასცეს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებს.

ვო თხუკ დონგმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის გულთბილი სიტყვებისათვის ვიეტნამელი ხალხისა და მისი სამშობლოსადმი, ორი ხალხის სულ უფრო მზარდი, დიდი მეგობრობისა და სოლიდარობისადმი.

საბჭოთა კავშირში, ლენინისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამშობლოში მუშაობის დროს, თქვა ელჩმა, სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის ყველა დარგში, აგრეთვე მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში მოძძე საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე მიღწევათა მოწმე ვიყავი. მე აგრეთვე დავრწმუნდი, თუ რა ძმური გრძნობები ამოძრავებდა, რა დიდი და მნიშვნელოვანი დახმარება და მხარდაჭერა გაუწევს კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ და საბჭოთა ხალხმა ვიეტნამელი ხალხის რევოლუციურ საქმეს. ელჩმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, საბჭოთა მთავრობასა და მთელ საბჭოთა ხალხს დიდი, მნიშვნელოვანი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

ვო თხუკ დონგმა ილაპარაკა ვიეტნამელი ხალხის ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია ეკონომიკისა და კულტურის აღდგენა და განვითარება, სოციალიზმის აშენება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

დასასრულ ვო თხუკ დონგმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობს, უსურვა ახალი წარმატებანი კომუნიზმის შენებლობაში, ქვეყნად მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. მან გამოსჯვება უსურვა ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის ხალხების დიადი მეგობრობის განმტკიცებას.

ჯილდოს გადაცემის დროს ელჩს ახლდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველ-დესპანი ვუ ტოანი და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

* * *

ნ. ვ. პოდგორნიმ ვო თხუკ დონგი მიიღო საბჭოთა კავშირიდან მის მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით.

გამართულ გულთბილ, მეგობრულ საუბარში მონაწილეობდნენ მ. პ. გიორგაძე და ნ. პ. ფირიუბინი. (საკდესი).

სამხედრო ამბოხება კვიპროსში

ბეირუთი, 16 ივლისი. (საკდესი). მდგომარეობა კვიპროსში, სადაც 15 ივლისს დილით მოხდა შეიარაღებული პუტჩი რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, კვლავ მეტად რთული და ბევრი მხრივ გაურკვეველია იმის გამო, რომ კუნძულისა და გარე სამყაროს შორის არ არის რეგულარული კავშირი.

აქ მიღებული ცნობებით, მთელ კუნძულზე მწვავე ბრძოლები წარმოებს პრეზიდენტ მაკარიოსის მომხრეებს, მთავრობისადმი ერთგულ პოლიციის ქვეგანყოფილებს და უშიშროების ძალებსა და ეგრეთწოდებული ეროვნული გვარდიის მეამბოხე ნაწილებს შორის, რომლებსაც ბერძენი ოფიცრები ხელმძღვანელობენ. ამ შეიარაღებულ შეტაკებებს განსაკუთრებით გაათრთვებული ხასიათი აქვთ პალოსისა და ლიმასოლის რაიონში, ქვეყნის სიდიდით მეორე ნავსადგურში. ორივე ქალაქი კანონიერი მთავრობის მომხრეთა ხელშია. მათ კონტროლს დაქვემდებარებული რადიოსადგურების ცნობებში აღნიშნულია, კერძოდ, რომ მეამბოხეები, რომლებმაც ხელი იგდეს მთავრობის რადიოსადგური ნიკოზიაში, მისი სამშვალებით ავრცელებენ ყალბ ინფორმაციას, რომ გადატრიალება თითქოს წარმატებით განხორციელდა და რომ ისინი კონტროლს უწევენ კუნძულის მთელ ტერიტორიას.

მთავრობისსაწინააღმდეგო ამბოხების პირველსავე საათებში გავრცელეს ხმები ქვეყნის პრეზიდენტის არქიეპისკოპოს მაკარიოსის დაღუპვის შესახებ. როგორც ჩანს, ცნობის მიზანი იყო გამოეწვიათ დაბნეულობა კვიპროსის მოსახლეობაში, შეექმნათ კანონიერი ხელისუფლების ლიკვიდაციის შთაბეჭდილება და მოეხდინათ პუტჩისტთა თვითმარქვია მთავრობის „ლეგალიზაცია“. კვიპროსის სინოდის მიერ ჯერ კიდევ შორშან მთავრობისსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის ანათემირებულმა პეტროსის ყოფილმა ეპისკოპოსმა ვენანდიმ, მეამბოხეთა რადიოს ცნობით, „ფიცი დაადებინა“ როგორც პრეზიდენტს — მეამბოხეთა დამჭერს ნიკოს სამსონს. ნ. სამსონი — კვიპროსის უკიდურესი მემარჯვენე ზეთის „მაფიის“ რიდერტორი. ცნობილია თავისი მჭიდრო კავშირით ათენის რეჟიმთან და „ეოკა-2“ ორგანიზაციის შეთქმულებთან, რომლებიც კუნძულზე მოქმედებდნენ. პუტჩამდე სამოოდე დღით ადრე, დაბრუნდა იგი ათენიდან, სადაც, ალბათ, მიიღო ინსტრუქციები საბერძნეთის ამ წრეებისაგან, რომლებიც ახლანდელი ამბოხების სულისჩამდგმელნი ვახდნენ.

აქ მიღებული ცნობები ადასტურებენ კვიპროსის საქმეებში საბერძნეთის უშუალო სამხედრო ჩარევის ფაქტს. ოფიცრები და ჯარისკაცები ბერძენთა ეროვნული კონტინგენტის „ელიეოსის“, რომელიც კუნძულზეა 1960 წლის საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, აშკარად მონაწილეობენ ამბოხებაში. კუშინ მსთ იერიშმა მიიტანეს პრეზიდენტის სასახლეზე ნიკოზიაში. მთავრობისსაწინააღმდეგო პუტჩის დამფერელ ძალას წარმოადგენენ ბერძენი ოფიცრები. აგრეთვე იატაკქვეშეთიდან გამოსული ბერძენთა ტერორისტული ორგანიზაციები, რომელთა მჭიდრო კავშირი ათენთან არაერთგზის დადასტურდა დოკუმენტალურად.

მეორე მხრივ, ათენიდან მოღებული ცნობებით, აქ თითქოს განუწყვეტლივ მიმდინარეობს ებერძენეთის უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელთა თათბირები კვიპროსის საკითხზე. საბერძნეთის შეიარაღებული ძალები გამზადებული არიან საბრძოლველად.

აქ აღნიშნავენ, რომ კვიპროსის მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების კვალი მიდის არა მარტო ათენში, არამედ აგრეთვე ნატოში. როგორც ცნობილია, ამ აგრესიული ორგანიზაციის გენერალური წრეები უკვე დიდი ხანია ცდილობენ „ნატოს“ ჩიუძირავ აქციამზიდად „გადაქცევონ“ კვიპროსი, განალაგონ კუნძულზე სამხედრო-საპაერო და საზღვაო ბაზები. გამოიყენონ იგი თავიანთი სამხედრო-სტრატეგიული გეგმებისათვის ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილსა და ახლო აღმოსავლეთში. ნატოს ამ წრეებს ამკრავად არ მოსწონთ საგარეო პოლიტიკა მაკარიოსის მთავრობისა, რომელიც იცავდა კვიპროსის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

როცა დარწმუნდნენ, რომ კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკური კურსის შეცვლის ცდები ამაოა, რომ ამ მთავრობას მხარს უჭერენ კუნძულის მოსახლეობის თართო წრეები, იმპერიალისტურმა ძალებმა მოახდინეს შეიარაღებული ამბოხება, უხეშად ჩაერიენენ კვიპროსის — სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყალდებულებათა სამ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა და ორმხრივ ელჩებად ერთ-ერთ ელჩად ინიშნებოდა ბულგარეთ-ალბანეთ-ბულგარეთ-ალბანეთ-ბულგარეთ-ალბანეთ-

ფრენა დედამიწის ირგვლივ

საკავშირო მეცნიერული კომენტარი

ამაბარზე მაგრად შენაწევრებული კოსმოსური წყვილი „სალუტ-სოიუზი“ სწრაფად კვეთს საათის სარტყლებს და დაფრინავს დედამიწის გარშემო. ჩვენი პლანეტის ნახევარსფეროდან ნახევარსფეროში ფრენა ერთობ ხანმოკლეა და სულ 45 წუთი სჭირდება. ყოველი გარშემოვლის დროს კოსმოსური მოგზაურები ტკბებიან ბუნებაში, ალბათ, ეველაზე ლამაზი სურათით: ერთმანეთს ენაცვლება კოსმოსური მწუხრი და ალიონი.

დღე-ღამის მანძილზე „სალუტ-3“ ორბიტული სადგური 16-ჯერ უვლის გარს დედამიწას, თანაც აქედან მისი ფრენის ტრასის მხოლოდ ათი გარშემოვლა გადის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ცხრა საათს კოსმოსური ლაბორატორია თავს დასტრიალებს პლანეტის სხვა ნაწილის მატერიკებსა და ოკეანეებს და არ ჩნდება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრის ბალისტიკოსთა ოთახში ჩამოკიდებულ მსოფლიოს გაშლილ რუკას რომ შეეხედოთ, მაშინვე გვეცოდინებოდა, რომ „სალუტ-3“ სადგურის, ისევე როგორც ყველა თანამგზავრისა და ხომალდისა, ორბიტის პროექციას აქვს თანაბარი ნახევარმარყუჟების მქონე სწორი სინუსოიდის სახე. როგორ ხდება ეს?

„სალუტ-3“ სადგურის ორბიტა შეიძლება შევადაროთ დედამიწის ეკვატორის სიბრტყისადმი 51,6 გრადუსი კუთხით დედამიწაზე ჩამოყმული გიგანტური სალტეს. სადგური ერთ ბრუნვას აკეთებს დედამიწის სფეროს ირგვლივ საათ-ნახევარში. და როცა შემდეგი გარშემოვლის დროს იგი კვლავ კვეთს ეკვატორს, დედამიწის სფეროს სულ სხვა რაიონების თავზე მიფრინავს, სხვათაშორის, გარშემოვლის დაწყებად ბალისტიკოსებს მიაჩნიათ სადგურის მიერ ტრაექტორიის აღმავალ ტოტზე ეკვატორიის გავლის დრო. მზის მსგავსად, მისი ფრენის ტრასა ყოველი გარშემოვლის შემდეგ 22,5 გრადუსით ინაცვლებს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ეს შემდეგი მიზეზის გამო ხდება. ხელოვნური ციური სხეული მოძრაობს ვარსკვლავების მიმართ უძრავ ორბიტაზე, დედამიწა კი მის შიგნით ტრაიექტის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ საათში 15 გრადუსი სიჩქარით, თითქოსდა „სალუტ-3“ სადგურს სთავაზობს თავის კიდეებს მიმოხილვისათვის. იქმნება პირუკუ მიმართულებით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ფრენის ტრასის გადანაცვლების ილუზია.

თუ მოვახდენთ სადგურის სადღეღამისო გარშემოვლის ტრაექტორიის პროეცირებას ელიფტუნს, დავინახავთ ტალღოვანი ხაზებისაგან შემდგარ ბადეს, რომლებიც ხრახნის მსგავსი მრუდების ხახით ხვრი ჭსელს ქნიან დედამიწის სფეროს გარშემო. ეს სხვადასხვა სიბრტყით დედამიწისა და სადგურის ერთდროული ბრუნვის შედეგია.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მისი დასავლეთი საზღვრებიდან წყნარი ოკეანის სანაპირომდე განლაგებულია საკომანდო-გასაზომი კომპლექსის სათვალთვალო მიწისზედა სადგურები. როცა „სალუტ-3“ შემოდის სათვალთვალო დედამიწისზედა სადგურების რადიოსიღნავდობის ზონაში, მათი პარაბოლური თასები — ანტენები ბრუნდებიან ორბიტული სადგურის მოძრაობის კვალდაკვალ, აკვირდებიან ვას და ესტაფეტასავით გადასცემენ ერთმანეთს. სათვალთვალო მიწისზედა სადგურების ოპერატორები იმათი მოწინავე რაზმია, ვისაც უშუალო „კონტაქტი“ აქვს დედამიწისეულ აპარატებთან, რომლებიც იმყოფებიან უკიდეგანო კოსმოსში. ხშირად სათვალთვალო სადგურებია დამაკავშირებელი რგოლი ფრენის მართვის ცენტრსა და „სალუტ-3“ სადგურს შორის, ხაშუალებას გვაძლევენ ვმართოთ ციური ლაბორატორია, კავშირი ვიქონიოთ კოსმონავტებთან. ისინი იღებენ და მართვის ცენტრსა და საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრს გადასცემენ ტრაექტორიულ და ტელემეტრიულ ინფორმაციას.

სათვალთვალო სადგურების რადიოხილვადობის ზონების ფარგლებში „სალუტ-3“ სადგურთან კავშირი ულტრამოკლე ტალღებზე წარმოიქმნა. ასეთი ტალღები თითქმის არ გასდევენ დედამიწის ზედაპირს და ერცელდებიან პირდაპირი ხილვადობის ფარგლებში. ამიტომ დიდი არ არის ულტრამოკლე ტალღების მოქმედების სიშორე. მაგალითად, „სალუტ-3“ დედამიწისირგვლივ ორბიტაზე დაფრინავს 260 კილომეტრ სიმაღლეზე. ყოველ სადგურს მაქსიმალურად შვიდი წუთის განმავლობაში შეუძლია მისი „დანახვა“, ყველა დედამიწისეული სადგურის ხილვადობის საერთო დრო არ აღემატება 25 წუთს.

ულტრამოკლე ტალღების განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ ისინი დაუბრკოლებლად გაივლიან ionოსფეროს და იკარგებიან სპალანეტათშორისო ხივიცევებში. მაგრამ ულტრამოკლე ტალღებს აქვთ ერთი კარგი თვისება — ისინი ადვილად ძლევენ დაბრკოლებას რადიომიღების დროს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ კოსმონავტიკაში უფროოთოდ გამოყენება პოვა ულტრამოკლე ტალღებით კავშირმა.

მართვის ცენტრის სპეციალისტები ჩვეულებრივ სმარობენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ხილული“ და „ყრუ“ გარშემოვლა, თუმცა ეს ცნებები უკვე მოძველდა. დედამიწისეული სათვალთვალო სადგურები „სალუტ-3“ სადგურს „ხედავენ“ პირველიდან ექვსამდე და 13-დან 16-მდე სადღეღამისო გარშემოვლისას, დანარჩენ შემთხვევაში იგი დაფრინავს საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან ხილვადობის ზონის გარეთ. თავის დროზე, როცა არ იყო მეკავშირე თანამგზავრები და საოკეანო ხომალდების საზომი პუნქტები, 7-დან 12-მდე გარშემოვლა მართლაც „უხილავი“ იყო. სხვა საქმეა ახლა. ატლანტის ოკეანეში კანადის ნაპირებთან და კარიბის ზღვაში დაცურავენ ჩვენი ქვეყნის კოსმოსური ფლოტის გემები — „კოსმონავტი იური გაგარინი“ და „კოსმონავტი ვლადიმერ კომაროვი“. ესენი მცურავი სათვალთვალო სადგურებია. სწორედ ისინი უზრუნველყოფენ ფრენის მართვის ცენტრის კავშირს „სალუტ-3“ სადგურთან იმ გარშემოვლათა დროს, რომლებიც არ გადიან საბჭოეთის ტერიტორიაზე. ტუბინმავალი „კოსმონავტი იური გაგარინი“ საზღვაო კოსმოსური ცენტრია. ხეჩიროების შემთხვევაში მას შეუძლია იკისროს „სალუტ-3“ სადგურის მართვა. მისი თანამომძე ასრულებს ყველა ამოცანას, რომლებსაც ყველაზე დედამიწისეული სათვალთვალო სადგურები.

ტრაექტორიული, ტელემეტრიული და ხმოვანი ინფორმაციის გადაცემა ხდება ასეთი სქემით: ორბიტული სადგური „სალუტ-3“ — ერთ-ერთი გემი — კოვეროგამშულობის თანამგზავრი „მოლნია“ — ფრენის მართვის ცენტრი. ამრიგად, ორბიტულ სადგურთან და მის ეკიპაჟთან კავშირი გრძელდება ყოველი სადღეღამისო გარშემოვლის დროს, ცენტრიდან მართვა კი მთელი დღე-ღამის განმავლობაში წარმოებს.

ამიტომ არის, რომ ცენტრის დინამიკებში ხშირად გაიგონებთ: „კოსმონავტი იური გაგარინი“ — „მე „ზარია“ ვარ, გამოვდივარ კავშირზე!“. და აქვე ისმის მხნე ხმა იქიდან, შორეული და ლურჯი ოკეანიდან: „ზარია“, მე „გაგარინი“, ვარ. ჩინებულად მესმის თქვენი“. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ამონენტები მეზობელი ოთახებიდან ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ანდა უცბად გაისმის: „მე „ბერკუტი“ ვარ, როგორია თქვენთან ზღვა, მშვიდია თუ მშფოთვარე?“.

კავშირი რადიოხიდით „კოსმოსიოკეანე-ხმელეთი“ უნაკლოდ მუშაობს.

ინჟინერი

პ. პოგადაევი.

* * *

ხურათებზე: ზემოთ — კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-14“-ის ეკიპაჟი პ. რ. პოპოვიჩი და ი. პ. არტიუხინი ვარჯიშთ შორის შეხვედრების დროს ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრში; ქვემოთ — პავლე და მარინა პოპოვიჩები ვარსკვლავთქალაქში.

პ. პშმპარეშვის ფოტო.

(საკავშირო ფოტოქრონიკა)



ფეხბურთი

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ ფეხბურთელებმა მთელი 10 დღის განმავლობაში დიდი ზეიმი აქონდათ. რუსთავში „მეტალურგის“ სტადიონზე „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზის მოსაპოვებლად უმცროსი ასაკის ფეხბურთელთა (1962-63 წლებში დაბადებულნი) 12 გუნდი ასპარეზობდა.

შეჯიბრების ფინალში გავიდნენ ქუთაისის „ალიოლეთი“ და ზესტაფონის „წინსვლა“. ქუთაისელებმა რ. კაშიამ და დ. მიქელაძემ მეტოქის კარში თითო ბურთი გაიტანეს და გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს — 2:0.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი და ოქროს მედლები მოიპოვეს. ზესტაფონის გუნდს გადაეცა ვერცხლის მედლები. მესამე და მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ გორელი და გალელი ფეხბურთელები.

დღეს რუსთავის სტადიონზე დაიწყება „ტყავის ბურთის“ პრიზის გათამაშება უფროსი ასაკის ფეხბურთელთა შორის (1960-61 წ. წ).

ი. ოსაგიძე.

რამდენიმე სტრიქონით

ჰოკეი. სსრ კავშირის ნაკრებს ახლა სათავეში უდგას ტრიუმვირატი: უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბორის კულაგინი, მწვრთნელები — სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ლოქტევი და ვ. იურზინოვი.

29 ენლის სტადიონელმა ექიმმა პენზიკოვმა მშობლიურ ქალაქში ვამართულ შეჯიბრებაზე ბაფრო სტეფორკინ 65 მეტრსა და 22 სანტიმეტრზე, რაც 108 სანტიმეტრით აღემატება საკავშირო რეკორდს და მესამე შედეგია ევროპაში მიმდინარე წელს.

მძლეოსნობა. ჰელსინკში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდების პირველი შეხვედრა მძლეოსნური რბენის სახეობებში. ორდღიანი ბრძოლა დამთავრდა ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით — 346:220 (ვაქეები) და 75:56 (ქალები). 110 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა თბილისელმა ანატოლი მოშიაშვილმა — 13,8 წამი.

სპარტაკიადა. ყაზახეთის დედაქალაქში მეათე დღეა მიმდინარეობს მოსწავლეთა მე-13 საკავშირო სპარტაკიადა. უკვე დამთავრდა შეჯიბრება მსატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა. გამოვლინდნენ მოჭადრაკეთა ტურნირის ფინალისტები. ესენი არიან მოსკოველი, საქართველოს, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის გუნდები.

ფეხბურთი. დღეს მოსკოვში ე. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლენინგრადი გაიმართება „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-3 ტურის მატჩი დედაქალაქის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის, როგორც ცნობილია, მათი 26 აპრილის შეხვედრის შედეგი გაუქმებული იყო საკავშირო სპორტკომიტეტისა და ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით. დღევანდელი მატჩი, რომლის ბოლო 30 წუთი გადმოცემული იქნება საქართველოს რადიოთი 21 საათსა და 45 წუთიდან, მეტოქეებისათვის საამოცდამეექვსეა საკავშირო ჩემპიონატებში. მანამდე 29 შეხვედრა მოიგო „სპარტაკმა“, 25 — „დინამომ“ და 11 დაამთავრა ფრედ.

ე. გ. კობერიძე

70 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა არმიის ვეტერანი, სახელმოხვეჭილი მეფლოთეფლობი, ხუთ წელი 1925 წლიდან, საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-მაიორი ერმოლოზ გრიგოლის-ძე კობერიძე.

ე. კობერიძე დაიბადა 1904 წელს ონის რაიონის სოფელ ცხმორში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1922 წლიდან ე. კობერიძე წითელი არმიის რიგებშია. მოსკოვში სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ ვას მიენიჭა მეთაურის წოდება და კავკასიის მსროლელ პოლკში ოცეულის მეთაურად დაინიშნა. 1929 წელს ე. კობერიძეს აგზავნიან მოსკოვში სამხედრო ავტო-ტექნიკური კურსებზე, რომლის დამთავრებამ შემდეგ იქვე ტოვებენ კურსის მეთაურის თანამდებობაზე. 1932 წელს მას ნიშნავენ სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს ინსპექტორად, ხოლო 1935 წელს ჯავშანსატანკო ბატალიონის მეთაურად.

დიდმა სამამულო ომმა კაპიტან ე. კობერიძეს ქალაქ კაუნასში ჯავშანსატანკო პოლკის მეთაურად მოაღწიეს. ომის ბოლოს ეს პოლკი „ბერლინის“ ოპერაციის ბრძოლებში, მოსკოვის დაცვაში, ქალაქ კალინინის განთავისუფლების ოპერაციებში.

1941 წლის დეკემბერში ე. კობერიძის პოლკი მოსკოვის მისადგომებს იცავდა. საბჭოთა არმიის დიდი შეტევითი ოპერაციის ფონი მონაწილეობას იღებდა ქალაქ კალინინის განთავისუფლებაში და დასავლეთისა�ერეკებოდა ჰიტლერელებს. ამ ბრძოლაში პოლკის მეთაური დაიჭრა.

ე. გ. კობერიძე განკურნების შემდეგ დანიშნეს იმ პოლკის მეთაურად, რომელიც ალყაში მოქცეულ მტრის ჯარებს ებრძოდა. გარემოცვაში მოყოლილ გერმანელთა ნაწილების განადგურებაში პოლკის მეთაურმა დიდი წვლილი შეიტანა. მალე იგი დივიზიის მეთაური გახდა. მისი შეხედულებით შეტევითს ბრძოლებს განაგრძობს ხოლმის სამხრეთ-დასავლეთით და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. შემდეგ ე. კობერიძე პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

1942 წლის აგვისტოდან ე. კობერიძის დივიზიამ მონაწილეობა მიიღო ნეველში გერმანელ ფაშისტთა ჯარების ძლიერ გამაგრებული თავდაცვის გარღვევაში და ამ ოპერაციის დროს გაათავისუფლა 39 დასახლებული პუნქტი. მისმა შენაერთმა თავი გამოიჩინა ქალაქების ვიტებსკისა და პოლოცკისათვის ბრძოლებში და გაარღვია მტრის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი ზღუდე. სსრ კავშირის სახელმწიფო 1943 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით სარდლობის დავალებათა ზედმიწევნით კარგად შესრულებისათვის პოლკოვნიკ ე. გ. კობერიძეს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

დადგა 1944 წელი. საბჭოთა არმიის „ვეტერანთა საბჭოთა კავშირის თბილისის სექცია; ზრდის ყოთელი დროზის ორდენოსანი საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“.

ომის ვეტერანთა საბჭოთა კავშირის თბილისის სექცია იუწყება, რომ გარდაიცვალა სამამულო ომის აქტიური მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-მაიორი

ერმოლოზ გრიგოლის-ძე კობერიძე

და ხანძარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 17 ივლისს საღამოს 8 საათზე კამოს ქუჩა № 2. გამოსვენება თბილისის ოფიცერთა სახლიდან 18 ივლისს 17 საათზე. დაკრძალვა საბურთალოს პანთეონში.

ჩვენი ცნობარი



საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1974-1975 სასწავლო წლისათვის

ბათუმის ახლადდაარსებული ინდუსტრიული ტექნიკუმის დღის სწავლების განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობის; 2. ლითონების ჭრით დამუშავების; 3. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობებზე.

ტექნიკუმში მიიღებიან მხოლოდ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

ტექნიკუმში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება); 2. მათემატიკაში (ზეპირი).

ის პირები, ვინც საშუალო სკოლა დამთავრა ქების სიგელით „ცალკეული საგნის შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებისათვის“, განთავისუფლდებიან მისაღები გამოცდებისაგან იმ საგანში, რომლის წარმატებით შესწავლისათვისაც დაჯილდოვდნენ სიგელით, თუ ამ საგანში დადგენილია მისაღები გამოცდა.

მისაღები გამოცდების გარეშე განცხადებათა შეტანის მიხედვით ჩაირიცხებიან: ა) საშუალო სკოლის დამთავრებისას ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი, აგრეთვე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ის კურსდამთავრებულები, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი. ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები, პრაპორშჩიკები და მიჩასანები, რომლებიც ავადმყოფობის ან ასაკის გამო სამსახურიდან დათხოვნილი და თადარიგში გასული არიან (დათხოვიდან ორი წლის განმავლობაში).

განცხადება მიღების შესახებ შეიტანება ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორის სახელზე ერთიანი ფორმით.

განცხადებას უნდა დაერთოს: დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა — ფორმა № 286, ოთხი ფოტოსურათი; სასწავლებელში მისვლისას შემსვლელი პირადად წარდგეს დაბადების მოწმობის ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადების მიღება ეწარმოებს 15 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 16 აგვისტოდან. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ტექნიკუმის დირექციას შემდეგი მისამართით: ქ. ბათუმი, გორკის ქ. № 96, ტელეფონი 36-01.

ქ. თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის ქულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი



აცხადებს 1974-75 სასწავლო წლისათვის მიღებას

სასწავლებელი ამზადებს კლუბის მუშაკებს: 1. თვითმოქმედი საგუნდო კოლექტივის დირიჟორს; 2. თვითმოქმედ ქორეოგრაფიული კოლექტივის ხელმძღვანელს; 3. საკლუბო ლოხისძიებათა რეჟისორს.

სპეციალიზაციით

სასწავლებელში მიიღებიან მხოლოდ რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მიერ წარმოგზავნილი სამუალო განათლების მქონე ორივე სქესის მოქალაქენი, 30 წლის ასაკამდე.

მსურველებმა გამოცდები უნდა ჩააბარონ: სპეციალობაში, ქართულ წერასა და სსრკ ისტორიაში.

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებებით სარგებლობენ: ა) საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი; ბ) საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოჭრისა და ეერცხლის მედალოსნები; გ) ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი და მუშაობენ სასწავლებელში შემოსასვლელად არჩეული სპეციალობით.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ „დირექტორის სახელზე **განცხადება და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

1. განათლების მოწმობა (დედანი). 2. შრომის წიგნაკი ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების მიერ. 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286). 4. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3X4 სმ.) 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ. 6. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (ან მიწერის მოწმობა) წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად.

განცხადებები მიიღება 1974 წლის 1 აგვისტომდე. კონსულტაციები იწარმოებს 2-3 და 4 აგვისტს. მისაღები გამოცდები — 5 აგვისტოდან.

ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 4 თვე, სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში. თბილისი კალინინის ქ. № 88. ტელეფონები: 95-26-47, 95-30-84, 95-29-93.

ზაფხულის ცხელი, მშრალი ამინდებია. ტყეებში, პარკებში, ხეკერებსა და განსაკუთრებით მთის ფერდობებზე ბახმა ბალახი და ბუჩქნარი, ამიტომ მცირედი უყურადღებობაც ქი ქვნის ხანძრის გაჩენის დიდ საშიშროებას.

მოკალაკენო, იყავით ფრთხილადა

ნუ დაგდებთ ძირს ანთებულ ასანთსა და პაპიროსის ნაბეწვს, ნუ გაიჩაღებთ კოცონს ტყეებში.

დაიცავით მწვანე ნარგავები ხანძრისაგან!

საქართველოს სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველო, საქართველოს სსრ ნეგავაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.

ტელევიზია

17 ივლისი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ტელეფილმი, 11.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სიყვარულის ეკო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — „საბჭოური სასათი“ — სატელევიზიო ნარკვევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — მხატვრული ფილმი „ნავი ჭვავის ყანაში“, 16.00 — მოსწავლეთათვის „მეხუთე შრომითი მეოთხედი“, 18.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბუნების კარი“, 19.15 — „ყურანი იკრებს მეგობრებს“ — საბჭოთა კავშირი — პაკისტანის სახალხო რესპუბლიკა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ბულგარლობა და უკონტროლობა დრთა ბოლო მოვუფოთ მას“, 20.45 — „ჩვენი რესპუბლიკის ხვალინდელი დღე“, 21.00 — „მოიმბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მუსიკის მოყვარულთათვის, 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — ტელეფილმი, 18.45 — განცხადებები, 18.50 — „შუადღრა ამბტურიენტებთან“, 19.40 — „კინოაფიშა“, 20.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ჩიპოლინო“.

ეს ვნახოთ, ეს ვოვლიოთ

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი“ 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს — 99-93-03, 99-02-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-86, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი საგანმანათლებლისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

„КОМУНИСТИ“ ИНДЕКС 66443 — 04534

საქ. კპ. გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დანაშაულობათა კვალდაკვალ

ᲮᲝᲠᲪᲛᲔᲢᲠᲘ

გზა გაქცევოგოთ ლოთსა და უქნარას

ერთხელ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე ბუნებისაგან და მან ლამაზად, ნაყოფიერად, ბედნიერად უნდა გაატაროს იგი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში გამოჩნდებიან ხოლმე უქნარები, ლოთები, მუქთახორები. ისინი უქმად ატარებენ დღეებს. უსირცხვილოდ სჭამენ სხვის ნაოფლარს, ლოთობენ, ხულიგნობენ. ამ ავისმქნელებს ხალხი სამართლიანად უწოდებს საზოგადოების ხორცმეჭამს. ისინი ზოგჯერ უბოროტეს დანაშაულსაც კი სჩადიან, სიცოცხლეს ერთი ხელისმოქნევით უსპობენ ადამიანს.

აი მაგალითებიც. ქალაქ თბილისის ცენტრში, სასტუმრო „ივერიის“ წინ სახინკლის პირდაპირ ორმა ახალგაზრდამ ჯერ ხმამაღლა უყვირა ერთმანეთს, მერე ლანძღვა-გინებით აიკვლეს იქაურობა.

უცბად ჰაერში დანამ გაიელვა და სასიკვდილოდ დაჭრილი ახალგაზრდა ვაჟა შოშიტაშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

მკვლელი მიიმალა. მართალია, ამ ტრაგიკული შემთხვევის დროს სახინკლის წინ მრავალი გამვლელ-გამომვლელიც იყო, მაგრამ როცა საქმემ მოითხოვა, ნამდვილი ამბის მოამბენი ან მნახველი აღარავინ ჩანდა. ყველამ დამუნჯება არჩია.

როგორც ყოველთვის, ისე ამჯერადაც მოკლე გამოდგა დანაშავის გზა, მკვლელი აღმოჩნდა ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდის მცხოვრები დავით ბელიტორის-ძე კობახიძე, იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობდა და „მაორჰესის“ თანამშრომლად ითვლებოდა. მის მამათ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში დეკს აღნიშნული წარმოებისა და სკოლის საუკეთესო დასასაათებები, რომლებიც ხოტბა-დიდებას ასხამენ მკვლელს...

მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯერ კიდევ ფორმალურად ეკიდებიან ლოთობის, მუქთახორობის ადმოფხვრის საქმეს, ვერ შეეშვნეს პარაზიტული ელემენტების ირგვლივ ხაყოველთაო შეუწყნარებლობის ატმოსფერო, სუსტად წარმოებს ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

უფრო მეტიც. იმის მაგივრად, რომ ყველა დაწესებულების ხელმძღვანელი დაუნდობლად ებრძოდეს დანაშაულის ძირითად წყაროს — ლოთობას, ხდება პირიქითაც. ქალაქ თბილისის № 9 თბილადგურის დაზიანებული ნაწილების შესაკეთებლად თერმეტმა კაცმა მოიყარა თავი, მათ შეეერთდა თბილადგურის მახლობლად, ჩიტაძის ქუჩაზე მცხოვრები ა. ჯალიაშვილი. დაწესებულებაში შემოიტანეს ღვინო და არაყი. დაიწყეს ქეიფი, რომელიც დილის რვა საათამდე გაგრძელდა. მოქეიფეთა შორის ყველაზე მეტად აქტიურობდა თბილადგურის უფროსი ა. შინჯიკაშვილი.

ბოლოს გალეშილმა ა. ჯალიაშვილმა დილის რვა საათზე დანით წუთისოფელს გამოასალმა საქვაბის თანამშრომელი ვ. მახარაშვილი.

პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ბ. კუნელაურის ხელმძღვანელობით შემდგარმა ოპერატიულმა ჯგუფმა სწრაფად შეიპყრო ლოთი, წინათ ხულიგნობისათვის რამდენჯერმე პასუხისგებაში ნამყოფი ა. ფიცხელაური, რომელმაც ამას წინათ თავისი მეგობარი ზ. ქუთათელიანი ეეეცხლმსროლელი იარაღით მტკვრის სანაპიროზე მოკლა და უპატრონოდ მიაგდო ქუჩაში...

უქნარამ, ლოთმა, სხვისი ლუკმის შემყურემ ა. სტეფანიანმა დანით სასიკვდილოდ დაჭრა თავისავე მეგობარი ბ. ჯალაღონია. მკვლელმა შემთხვევის ადგილზე მიაგზავა საკუთარი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ და მიიმალა. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა იგი ქალაქ პიატიგორსკში დაუპატიმრეს.

მეტად ცუდი შედეგი მოსდევს ისეთ ფაქტებს, როცა ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მეზობლები, მეზობლები ურიგდებიან ახალგაზრდების მიერ შრომისათვის თავის არიდების შემთხვევებს, არ ზრუნავენ მათთვის ნორმალური პირობების შექმნისათვის. ბევრი ახალგაზრდა ამ მიზეზით კარგავს ინტერესს შრომითი საქმიანობისადმი, ადგება დანაშაულის გზასაც კი. ბი ამის ფაქტი. ღამის 12 საათზე პირველი მაისის რაიონში სამმა უცნობმა პირმა სრულიად უმიზეზოდ მოკლა ახალგაზრდა პ. ტოკალეტიანი, რომელსაც თან ახლდა გოგონა. ქალიშვილის კიბეზე მილიციაც მოვარდა, მაგრამ ბორტოტმქმედები სწრაფად მიიმალნენ.

რვა თვის ძმებისა და ოპერატიული მუშაობის შემდეგ მკვლელები დაპატიმრეს. ესენი აღმოჩნდნენ 1952 წელს დაბადებული ვაჟი ნოდარის-ძე სურგულაძე, მეხუთრები პეროფესიაზე ქ. № 15-ში, ოი არსად არ მუშაობდა, არც სწავლაზე იკლავდა თავს. სამაგიეროდ მან ზუსტად იცის რესტორნების მეზეფეტეთა ვვარეზიე კი. სწორედ ეს არამზადა იყო, პირველმა რომ ჩახეა ფანა ა. ტოკალეტიანს.

მკვლელობის თანამონაწილეა 1952 წელს დაბადებული თამაზ თეოფილეს-ძე მორჩილაძე, რომელიც ფოთის ქუჩაზე ცხოვრობს. ისიც მთელ დღეებს უქნარობასა და ლოთობაში ატარებდა. ასევე მკვლელობის თანამონაწილეა 1952 წელს დაბადებული ზურაბ ავთანდილის-ძე ხულაბერიძე, ქალაქ მოსკოვის კავშირგაბმულობის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დაუსწრებელი სწავლების მეორე კურსის სტუდენტი, № 1 ფარმაცევტული ქარხნის საწყობის გამგე.

ამ მკვლელობის საქმის გახსნაგამომზეურებაში თავი ისახელეს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაკებმა, განსაკუთრებით კი ოქტომბრის რაიონის მილიციის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსმა ბ. ივანოვმა.

დიდი გამჭრიახობა და ოპერატიულობა გამოიჩინეს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა ჯ. მიქელაძემ, უ. ჭიტანაძემ, ზ. მაჩაიძემ